<u>საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე</u>
ქუთაისი 4600, ირაკლი აბაშიძის გამზირი #26
პარლამენტის სასახლე

ბრძანება #19/3 **12.02.2015**

„ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP)“ ინიციატივაში საქართველოს პარლამენტის ჩართულობის უზრუნველსაყოფად ინტერფრაქციული ჯგუფის შექმნის შესახებ“[1]

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 103-ე მუხლისა და 107-ე მუხლის „ლ“ და „ჰ[6]“ ქვეპუნქტების შესაბამისად:

1. ღია მმართველობის პარტნიორობის პროექტის ფარგლებში საქართველოში ღია პარლამენტის პრინციპის დასამკვიდრებლად შეიქმნას ინტერფრაქციული ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა) ფრაქცია „ქართული ოცნება“ – გუგული მაღრაძე;
ბ) ფრაქცია „ქართული ოცნება – რესპუბლიკელები“ – თინათინ ხიდაშელი;
გ) ფრაქცია „ქართული ოცნება – ეროვნული ფორუმი“ – მალხაზ ვახტანგაშვილი;
დ) ფრაქცია „ქართული ოცნება – მრეწველები“ – გიორგი კახიანი;
ე) ფრაქცია „ქართული ოცნება – კონსერვატორები“ – გიგა ბუკია;
ვ) ფრაქცია „თავისუფალი დემოკრატები“ – ნინო გოგუაძე;
ზ) ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ – ხათუნა გოგორიშვილი;
თ) ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა – რეგიონები“ – ვახტანგ ლემონჯავა;
ი) ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა – მაჟორიტარები“ – დავით ჭავჭანიძე;
კ) ფრაქცია „დამოუკიდებელი მაჟორიტარები – ძლიერი რეგიონებისათვის“ – გოჩა ენუქიძე;
ლ) ფრაქცია „უპარტიო, დამოუკიდებელი მაჟორიტარები“ – კახაბერ ოქრიაშვილი.

2. ინტერფრაქციულ ჯგუფს ხელმძღვანელობს საქართველოს პარლამენტის წევრი თინათინ ხიდაშელი.

3. ინტერფრაქციული ჯგუფის სხდომებს იწვევს ჯგუფის ხელმძღვანელი თვეში ერთხელ მაინც. სხდომა საჯაროა, თუ მის დახურვას არ მოითხოვს ინტერფრაქციული ჯგუფის წევრთა ორი მესამედი. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ინტერფრაქციული ჯგუფის სრული შემადგენლობის უმრავლესობა. სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ ინტერფრაქციული ჯგუფის სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა. ინტერფრაქციული ჯგუფის მიერ კონკრეტულ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად კენჭისყრის ჩატარებამდე ჯგუფის ხელმძღვანელი აცხადებს პროცესის მონაწილე პოლიტიკურ პარტიებს შორის ამ საკითხზე გამართული კონსულტაციების შედეგებს.

3[1]. ინტერფრაქციული ჯგუფი თავისი საქმიანობის პროცესში თანამშრომლობს არასმთავრობო ორგანიზაციებთან და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან.

---

[1] აღნიშნულ ბრძანებაში ცვლილებები და დამატებები შევიდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2015 წლის 16.03.2015 წლის #31/3 ბრძანებით (ცვლილებების და დამატებების შეტანას საფუძვლად დაედო ინტერფრაქციული ჯგუფის ხელმძღვანელის თინათინ ხიდაშელის 2015 წლის 16 მარტის #2859 წერილი).

4. ინტერფრაქციული ჯგუფის საქმიანობის ორგანიზაციულ, ტექნიკურ და საექსპერტო მომსახურებას უზრუნველყოფს საქართველოს პარლამენტის აპარატი.

5. ინტერფრაქციულმა ჯგუფმა მუშაობის პირველადი შედეგები, კერძოდ, ,,საქართველოს პარლამენტის სამოქმედო გეგმა ღია პარლამენტისთვის" საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს არაუგვიანეს 2015 წლის 1 სექტემბრისა.

6. ინტერფრაქციული ჯგუფის უფლებამოსილების ვადა განისაზღვროს 1 წლით.

7. ბრძანება ძალაში შედის საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საჯაროდ გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

დავით უსუფაშვილი